საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

14/02/2025

MES 3 25 0000190227

გადაწყვეტილება

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგა ნმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. ვიზიტის ბრძანება (№1033285, 30/08/2024).

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:

ა) აკრედიტაციის საბჭომ 1.4 კომპონენტში არსებული რეკომენდაცია "რეკომენდებულია, დარგის ძირითადი საგნები განისაზღვროს ორგანიზაციაში სტაჟირებაზე დაშვების წინაპირობად" გადავიდა რჩევებში მაგრამ აღნიშნულმა არ გამოიწვია ამ კომპონენტისა და 1-ლი სტანდარტის შეფასების ცვლილება.

ბ) საბჭომ 2.1 კომპონენტში არსებული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევებში, შეუცვალა ფორმულირება და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: "სასურველია პროგრამებზე მკაფიოდ განისაზღვროს წინაპირობები ინგლისური ენის ფლობის დონესთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოფილი იქნას სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევა", აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც "„შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". საბჭომ ამავე სტანდარტის 2.4 კომპონენტის კლასტერული რეკომენდაცია "რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა დანერგოს პლაგიატის გამოვლენის ყოვლისმომცველი სისტემა აკადემიური კეთილსინდისიერების გასაძლიერებლად და სტუდენტთა ნაშრომების შეფასების თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად" ამოიღო და 2.4 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც "„შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". აღნიშნულმა გამოიწვია მე-2 სტანდარტის ცვლილება და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც "„შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

გ) საბჭომ 4.1 კომპონენტში არსებული 4 კლასტერული რეკომენდაციიდან 3 გადაიტანა რჩევაში: "რეკომენდებულია დოქტორის ხარისხის მქონე მეტი აკადემიური პერსონალის ჩართვა კლასტერული პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფად", "რეკომენდებულია კლასტერის ყველა პროგრამაში პერსონალის სამეცნიერო აქტივობის გაძლიერება" და "რეკომენდებულია, პერსონალის მართვის დოკუმენტში მოწვეული პერსონალის წლიური დატვირთვისა და მისი განაწილების პრინციპების შემოღება", ხოლო 1 რეკომენდაცია ამოიღო "რეკომენდებულია, აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვაში სტუდენტების საკონსულტაციო საათების გათვალისწინება", აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც "„შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". 4.2 კომპონენტის 2 რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში: "რეკომენდებულია დოქტორის ხარისხის მქონე მეტი აკადემიური პერსონალის ჩართვა ნაშრომების ხელმძღვანელებად" და "რეკომენდებულია დაწესებულებამ მეტი ყურადღება დაუთმოს აკადემიური პერსონალის კვლევით საქმიანობას, რაც მიზნად ისახავს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების გაძლიერებას" და აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც "„შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". 4.3

კომპონენტში არსებული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევებში "რეკომენდებულია პერსონალის კატეგორიებისთვის მოთხოვნების დადგენა და ამ წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებთან საქმიანობის შესრულების შეფასება, აგრეთვე შესაბამისი რეაგირების მექანიზმების შემუშავება აკადემიური პერსონალის კვლევისა და სამეცნიერო პროდუქტიულობის სისტემური და ეფექტური პროგრესის უზრუნველსაყოფად" და აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც "„შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". ზემოაღნიშნულმა ცვლილებებმა გამოიწვია მე-4 სტანდარტის ცვლილება და „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

დ) საბჭომ 5.3 კომპონენტში არსებული კლასტერული რეკომენდაცია "რეკომენდებულია, კლასტერის პროგრამების საორიენტაციოშედარება წამყვან საერთაშორისო საუნივერსიტეტო პროგრამებთან და მათი გამოცდილების გათვალისწინება" გადაიტანა რჩევაში და აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც "„შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". აღნიშნულმა არ გამოიწვია მე-5 სტანდარტის შეფასების ცვლილება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2032 წლის 31 იანვრამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო, ,,ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო და ,,ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 14 თებერვლის №169823 სხდომის ოქმის № 01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაცია:

ინდივიდუალური რეკომენდაციები:

1.4.1. რეკომენდებულია, სილაბუსებში შესაბამისი წინაპირობების გადახედვა/განსაზღვრა, რათა თავიდან იქნას აცილებული სტუდენტის დაშვება საგანზე აუცილებელი ფუნდამენტური ცოდნისა და უნარების გარეშე, რაც უზრუნველყოფს შემდგომი კურსის წარმატებით შესწავლას.

რჩევები:

კლასტერული რჩევები:

1.5.1 სასურველია, საბოლოო შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის აწევა, რათა ის შეესაბამებოდეს პროგრამის დონესა და სწავლის შედეგების შეფასებისთვის განსაზღვრულ სტანდარტებს;
1.5.2 სასურველია, შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრისა და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ჯამი იყოს მინიმუმ 41 ქულა, რაც სტუდენტის დამატებით გამოცდაზე დაშვებისთვისაა საჭირო;
3.1.1. სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სპეციალური აკადემიური წერის მოდული, რომელიც ხელს შეუქწყობს სტუდენტების კვლევითი უნარების გაძლიერებას და აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვის უზრუნველსაყოფას;
3.1.2. სასურველია, სტუდენტების გლობალური კომპეტენციებისა და აკადემიური ქსელების გაძლიერების მიზნით, გაფართოვდეს მათი საერთაშორისო აქტივობებში ჩართულობის შესაძლებლობები, როგორიცაა გაცვლითი პროგრამები და საერთაშორისო კონფერენციები;
4.1.1 სასურველია გადაიხედოს პროგრამაზე აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რათა შემცირდეს სტუდენტების რაოდენობა ერთ აკადემიურ პერსონალზე.
4.1.1 სასურველია დოქტორის ხარისხის მქონე მეტი აკადემიური პერსონალის ჩართვა კლასტერული პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფად;
4.1.2 სასურველია მეტი ყურადღება დაეთმოს მოწვეული პერსონალის გადინებას, რათა მომავალში უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის სწავლების ხარისხი;
4.1.2. სასურველია კლასტერის ყველა პროგრამაში პერსონალის სამეცნიერო აქტივობის გაძლიერება;
4.1.3. სასურველია, პერსონალის მართვის დოკუმენტში მოწვეული პერსონალის წლიური დატვირთვისა და მისი განაწილების პრინციპების შემოღება;
4.2.1 სასურველია, დოქტორის ხარისხის მქონე მეტი აკადემიური პერსონალის ჩართვა ნ ა შ რ ო მ ე ბ ი ს ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ე ბ ა დ;
4.2.2 სასურველია, დაწესებულებამ მეტი ყურადღება დაუთმოს აკადემიური პერსონალის კვლევით საქმიანობას, რაც მიზნად ისახავს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების სამეცნიერო კვლევითი აქტივობების გაძლიერებას;
4.3.1. სასურველია, პერსონალის კატეგორიებისთვის მოთხოვნების დადგენა და ამ წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებთან საქმიანობის შესრულების შეფასება, აგრეთვე შესაბამისი რეაგირების მექანიზმების შემუშავება აკადემიური პერსონალის კვლევისა და სამეცნიერო პროდუქტიულობის სისტემური და ეფექტური პროგრესის უზრუნველსაყოფად;
4.5.1. სასურველია, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის არსებობდეს ცალკე ბიუჯეტი, რათა ნათელი იყოს პროგრამების ფინანსური მდგომარეობა და უზრუნველყოფილ იქნას მათი მდგრადობა.
5.1.1 სასურველია, პროგრამებმა პერიოდულად ისარგებლონ კოლეგიალური შეფასებითა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით.
5.3.1 სასურველია, კლასტერის პროგრამების საორიენტაციო შედარება წამყვან საერთაშორისო საუნივერსიტეტო პროგრამებთან და მათი გამოცდილების გათვალისწინება;

ინდივიდუალური რჩევები:

1.2.1. სასურველია, მოხდეს პირველი შედეგის ხელახალი ფორმულირება, რათა გამოვლინდეს მისი კავშირი ბიზნეს სფეროსთან;
1.4.1 სასურველია ორგანიზაციაში სტაჟირება გადატანილ იქნას პროგრამის დარგობრივი არჩევითი კურსების კომპონენტიდან სასწავლო კურსების ძირითად კომპონენტში, რათა ყველა სტუდენტს მიეცეს უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის, ანალიტიკური და ტექნიკური უნარების მოქმედ ორგანიზაციაში გამოყენებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა;
1.4.2. სასურველია, დარგის ძირითადი საგნები განისაზღვროს ორგანიზაციაში სტაჟირებაზე დაშვების წინაპირობად;

2.1.1. სასურველია პროგრამებზე მკაფიოდ განისაზღვროს წინაპირობები ინგლისური ენის ფლობის დონესთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოფილი იქნას სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევა.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 31 იანვარს.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა